

მიწის გაყიდვა საქართველოს მოქალაქის გაყიდვას

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ამავე დროს მომხსენებელმა მოსამართლემ გიორგი პაპუაშვილმა, ა.წ. 26 ივნისს გაატარა “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/5/512”, რომლითაც გაუქმდა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილ, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულვებელყოფელ “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ” საქართველოს კანონში გათვალისწინებული ყველა შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა – ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომავლობის საარსებო ბაზა აწ და მარადის – გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით და უახლოეს ათწლეულებში საქართველოს ფარულად პრო-რუსული ორი ადმინისტრაციის ოცქლიანი დივერსიული ბატონობით განპირობებული საყოველთაო გადატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების აუარებელ უცხოელ მსურველებთან შედარებით. ამ ოცქლიანი ოპერაციის მიზანი და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგარების პარადელურად, სხვა არა არის რა და სხვა ვერ იქნება თუ არ საქართველოს დემოგრაფიული დექართველიზაცია და მისი მიწა-წყლის ათვისება ახალი, გარედან მოყვანილი ან ბუნებრივად იმიგრირებული მოსახლეობის მიერ. პაპუაშვილის ეს შეუნიღბავად ანტისახელმწიფოებრივი მანევრი თავისი განხორციელების ფორმით (სახელდობრ, არგუმენტაციის სიმულაციით, რომელიც ცდილობს იურისპრუდენციისა და ზოგადად ჰუმანიტარული ცოდნის სფეროში მიღებული მეცნიერული ტერმინოლოგიით ოპერირებას), ემყარება ერთი მხრივ სრულ არაინფორმირებულობას ამ სფეროებში, მეორეს მხრივ კი ასევე სრულ უცოდინარობას – ან: უცოდინრობის სიმულაციას – იმ მოვალეობათა და ვალდებულებათა თაობაზე, რომლებიც აქვს სახელმწიფოს ადმინისტრაციას თავისი ქვეყნის წინაშე და არჩეულ ხელისუფლებას – ამომრჩეველთა წინაშე. ამ უმეცრების შემადგენელ ელემენტთა შორის დავასახელებთ ორს, რაც საკმარისია, რათა მხილებულ იქნას სა-

ნოღარ ნათაბე, პაატა კოლუაშვილი, პროფესორები

კონსტიტუციო სასამართლოს ამ აქტის მიზანმიმართულად ანტისახელმწიფოებრივი, პროფესიულად (დარგობრივად) არაკომპეტენტური, დანაშაულებრივად დესტრუქციული ხასიათი.

1. დადგენილების ავტორებმა არ იციან (ან სიმულაციას ეწევიან, თითქოს არ იციან), რომ საზოგადოებაში, სახელმწიფოს ჩათვლით, სამართლის განხორციელებას აქვს თავისი პრინციპები, რომელთაგანაც ერთი ფორმულირებულია ცნობილ მაქსიმაში *fiat justitia, pereat mundus* (“აღსრულდეს სამართალი, თუნდ დაიღუპოს ქვეყნიერება”). ეს მაქსიმა არასოდეს ხორციელდება და ვერც განხორციელდება, მაგრამ იგი მონაწილეობს სამართლის განხორციელების ყველა აქტში, როგორც რეგულატიური იდეა. ანუ: არც კანონს, არც მოსმართლეს არ აქვს უფლება, რომ პრაგმატული მოსაზრებით (მაგ. იმით, თუ რა შედეგი ექნება კანონის ან სასამართლო გადაწყვეტილების ამა თუ იმ პუნქტს “ბრუნვისთვის”, როგორც ამას პაპუაშვილი იქმს) დაარღვიოს ადამიანთა თანასწორობის პრინციპი, ამ შემთხვევაში – საქართველოს მოქალაქეების მიმართ, რომელთაც მისი გადაწყვეტილების მიხედვით, ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეთაგან განსხვავებით, ერთმევათ სამშობლოს და მისი საარსებო საყრდენის – სასოფლო-სამეურნეო მიწის – მარადიული შენარჩუნების გარანტირებული პრინციპული უფლება.

2. ასევე არ ესმის - ან სიმულანტობს, თითქოს არ ესმის - პაპუაშვილს ის, რომ უცხოელის შეუზღუდაობა მის საკუთრებაში ამა თუ იმ გზით მოხვედრილი ქართული მიწის მოხმარებასა და განკარგვაში არ არის ერთადერთი, მისი ტერმინოლოგიით, “ღირებულება” და, შესაბამისად, ერთადერთი მიზანი, რომელსაც, პრაქტიკულ პლანში, უნდა ისახავდეს საქართველოს კანონმდებლობა. საქართველოს მიწას აქვს მრავალი სხვა მიზანიც გარდა იმისა, რომ “ყველა ადამიანის”, განურჩევლად მოქალაქეობისა, თანაბარი საკუთრების უფლების საგანი იყოს. მაგალითად, ის მიზანი აქვს, რომ შეადგინოს საქართველოს მოქალაქეთა მომავალი თაობების სარჩენი ბაზა, შეადგინოს ამ თაობათა ლაღად გაზრდისა და ჩამოყალიბების გარემო,

მათი ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების გარეშე, სახელმწიფოსა და ერის სასურსათო უსაფრთხოების საფუძველი და ა.შ. ეს და ანალოგიური მრავალი სხვა მიზნები სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მიზნებია (აგრეთვე სტრატეგიული მიზნებია), ანუ იმ კატეგორიისა, რომელთა გამოც ყველა სახელმწიფო ყოველ ეპოქაში მიმართავს – და უფლებამოსილია მიმართოს – უძრავი საკუთრების შეზღუდვის, მათ შორის - რეკვიზიციის მეთოდს. “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებები”, რომლებითაც საქართველოს კონსტიტუცია ზღუდავს უცხოელების მიერ საქართველოს მიწის საკუთრებას, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ტიპის საშიშროებების აცილების ამოცანას გულისხმობს. ხოლო უცხოელზე, მოქალაქისაგან განსხვავებით, დაკისრებული ტვირთი – მიწის მოქალაქეზე გასხვისების მოვალეობა – არის ამ “აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებათა” გამო შეზღუდვის რიგისა და არა ექსპროპრიაციის (საგნის ჩამორთმევის) რიგისა, ანუ არ არის მისი საკუთრების, როგორც ასეთის, პრინციპის ხელყოფა.

იმისთვის, რომ პაპუაშვილის ქმედებაში ერთის მხრივ უმეცრებისმიერი და მეორეს მხრივ ნებისითი შეცდომების არსი და სიღრმე გასაგები იყოს ნაკლებ ინფორმირებული მკითხველისათვის, დავიმოწმებთ შემდეგს. ემუქრება თუ არა მიწის უცხოელ მესაკუთრეს, ქართველისგან განსხვავებით, საქართველოში შექმნილი სასურსათო საფრთხე? არა, მას გადარჩენის ღუზა საზღვარგარეთ აქვს. სამშობლოს დაკარგვის საფრთხე (იხ. ზემოთ)? არა, მას სამშობლო სხვაგან აქვს. ქართულ ომში გაწვევის საფრთხე, რასაც უდიდესი ალბათობა აქვს და რაც მას, როგორც მეურნეს, არაქმედით გახდის? არა, მას საქართველო ვერ გაიწვევს. და ა.შ. და ა.შ. ამგვარად, ბრმა შესწორებები ისედაც კოჭლ (საქართველოსთვის საზიანოდ კოჭლ!) კანონში მიწის შესახებ ემსახურება არა ადამიანთა თანასწორობის, არამედ მევიარაღა, რადიკალური, ბარბაროსული უთანასწორობის შექმნას მათ შორის, ოღონდ – უსათუოდ ქართველისა და საქართველოს მოქალაქის საზიანოდ, რასაც გარკვეული კატეგორიის ნახევრადწიგნიერი თანამდებობის პირები (მათი სახელი ღვეიონია) რატომღაც თავისი დემოკრატიული მენტალიტეტის ნიშნად რაცხენ.

მარტივად რომ ვთქვათ: საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის აღნიშნული გადაწყვეტილება სამართალსაწინააღმდეგოა იმით, რომ საქართველოს კონსტიტუცია ნათლად განსაზღვრავს: საკუთრების ესა და ეს შეზღუდვები კანონდება იმიტომ, რომ – და მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ – ამას “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება” მოითხოვს. პლენუმი, რომელიც საკუთრების უფლების შეზღუდვას კანონის მიერ “ანტიკონსტიტუციურად” აცხადებს, კონსტიტუციის ამ მუხლთან პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის.

პაპუაშვილის იურიდიული არაკომპეტენტურობის სიღრმეს მოწმობს, სხვა მრავალთა შორის ის, რომ იგი ვერ ხედავს: კონსტიტუციის ფორმულირება “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება” არის ზოგადი დეფინიცია, რომლის ქვეშაც ერთიანდება ყველა ის კონკრეტული შემთხვევა, როცა კანონმდებელი ამა და ამ კონკრეტულ ვითარებაში მიწის საკუთრების ამა და ამ შეზღუდვას ასეთი საჭიროების საგნად ჩათვლის. უცხოელი მოქალაქის სარჩელის დაკმაყოფილებამდე, რომელმაც ამ შეზღუდვის მოხსნა მოითხოვა, ალბათ, სათანადო წაბიძგების შედეგად, სასამართლოს პლენუმი ვალდებული იყო დაესაბუთებინა, რომ მიწის საკუთრების ესა და ეს კონკრეტული შეზღუდვა, რომელიც მიწის კანონში წერია, არ არის განპირობებული ამ სახის არც ერთი საშიშროებით. პლენუმს ეს არ გაუკეთებია. ხოლო მის ფაქტებში და სახელმწიფო პოლიტიკაში პაპუაშვილის არაინფორმირებულობის გამოხატულება ის არის, რომ იგი საქართველოს რეალობაში ვერ ხედავს იმგვარი “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებების” არსებობას, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის სოფლის მოსახლეობის ასი პროცენტის უმიწოდ დარჩენის დაუშვებლობას ადამიანების, საზოგადოების, სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესთა თვალსაზრისით. ბატონ პაპუაშვილის აზროვნების ლოგიკურსა და ანალიტიკურ უუნარობას კი ნათლად მოწმობს მისი მსჯელობის ასეთი სქემა: ადამიანები თანასწორნი ვართ. კერძოდ, კანონის წინაშე თანასწორნი ვართ (ეს მართლაც ასეა და ჩვენს კონსტიტუციაშიც გვიწერია). მაშასადამე, ასკენის პაპუაშვილი, მიწის საკუთრების საკითხშიც მოქალაქეებს და არამოქალაქებს ზუსტი თანასწორობა გვეკუთვნის. იმას, რომ ეს პრიმიტიული ლოგიკური სქემა ყალბია, პაპუაშვილი რომელსაც იურისტის დიპლომი აქვს, ვერ ჰხედავს ან სიმუღანტობს, რომ ვერ ჰხედავს. სახელდობრ, ვერ ჰხედავს იმას, რომ თანასწორნი ვართ თანასწორ პირობებში ანუ ერთსა და იმავე მდგომარეობაში (ჯანმრთელს არა აქვს ის უფლებები, რაც ინვალიდს, და ა.შ.). და მხოლოდ ამა და ამ კონკრეტულ პარამეტრებში და არა ყველაში, მაგ. პავლეს არა აქვს ის უფლებები პეტრეს ოჯახის მიმართ, რაც თვითონ პეტრეს აქვს. კაცს ჯარში იწვევს თავისი სახელმწიფო, მაგრამ არა

სხვისი სახელმწიფო და ა.შ. ამ განსხვავების დანახვა შესაძლოა ერთერთ ტესტშიც იყოს გამოყენებული “უნარ-ჩვევებად” წოდებული საგნის გამოცდებზეც იმ აბიტიურიენტებისათვის, რომელთაც უნივერსიტეტში შესვლა და იურიდიული ცოდნის დაუფლება ჰსურთ. ამ ტესტში ჩატრა, ალბათ, აზროვნების დეფექტად კვალიფიცირდება და არა მხოლოდ პროფესიული მომზადების დეფექტად.

ეს ბარბაროსული ნაბიჯი, რა თქმა უნდა, რეალურად ეკუთვნის არა მართულ სასამართლოს, არამედ მმართველ ხელისუფლებას. ეს უკანასკნელი – შეგახსნებთ – პრაქტიკილად, მხილებულია როგორც არალეგიტიმურობაში, ისე სახელმწიფო ღალატის მცდელობაში მეზობელი აგრესიული სახელმწიფოს სასარგებლოდ. თქმულიდან გამომდინარე, მათი აქტები საქართველოს მიწის გაყიდვისა უცხოელებზე, თავისი კანონმდებლობითა და პრაქტიკითურთ, არალეგიტიმურია და გაუქმებადია. ამიტომ მოვეუწოდებთ ქართული მიწის უკვე მესაკუთრესა და მესაკუთრეობის მგებმავ უცხოელებს: იცოდეთ, თქვენ ყიდულობთ საგანს იმისგან, ვისაც ამ საგნის გაყიდვის უფლება არ აქვს. მარტივად: თქვენ ყიდულობთ ნაქურდალს, ამ გარემოებიდან გამომდინარე ყველა სამართლებრივი და მორალური შედეგებით.

ჩვენი ეს კრიტიკული შენიშვნები პაპუაშვილის ნამოქმედარის მიმართ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მცირე ნაწილია იმ შეპასუხებებისა, რასაც ეს მოქმედება და შესაბამისი ტექსტი იწვევს. ჩვენს შენიშვნებზე პასუხისმგებელნი ვართ. მზად ვართ დისკუსიის გაგრძელებისათვის უფრო ფართოდ და დეტალურად.

საჭიროდ ვრაცხთ ავღნიშნოდ შემდეგიც:

1. გამჭვირვალება და უპირობოდ დასაბამოა “მოპასუხის” – საქართველოს პარლამენტის - პოზიცია საკონსტიტუციო სასამართლოში ჩატარებულ პროცესზე. სახელდობრ, თუ დაუუჯერებთ პლენუმის გადაწყვეტილების “აღწერილობითი ნაწილის” ტექსტს, ამ მოპასუხეს არ მოჰყავს მთავარი არგუმენტები სარჩელის წინააღმდეგ: იგი არ იმოწმებს იმ სასიკვდილო საშიშროებებს საქართველოსთვის, რასაც ქმნის ღია ბაზარზე საქართველოს მთავარი სიდიდრის – სასოფლო-სამეურნეო მიწის – გატანა საქართველოსა და მისი მოქალაქეების დღევანდელი არაკონკურენტუნარიანობის პირობებში.

2. საკუთარ მიწის ფონდს უცხოელებზე განიავებისგან იცავს, პრაქტიკულად, მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმრავლესობა.

3. საბაზრო ეკონომიკაში მიწის ჩართულობას აქვს არა მხოლოდ ერთი, არამედ ორი ფორმა:

საკუთრებისა და გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარისა. ნასაბჭოვარ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, დემოკრატიულ ქვეყანათა კომპეტენტური ეკონომიკური ორგანიზაციები ურჩევენ ამ ორს შორის მეორის – იჯარის განვითარებას.

4. ზემოხსენებული ანტიქართული ოპერაცია პაპუაშვილის ერთადერთი “გმირობა” არ არის. ა.წ. 12 მაისს მან ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა უსირცხვილო სიცრუე, თითქოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას თავის უკანასკნელ შეკრებაზე შეეჩერებინოს საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება, რაც ედრებოდა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პოლიტიკურ “რეაბილიტაციას”. კითხვას “ვინ არის პაპუაშვილი?” თუკი იგი ვისმე აინტერესებს, მკაფიო პასუხი აქვს: სააკაშვილს კადრი, მისი ვიწრო გუნდის წევრი, თანამდებობისთვის შერჩეული მხოლოდ ერთი ნიშნით: მუდმივი მზაობით საქართველოს საღალატოდ.

საქართველოს ერთერთმა უმაღლესი თანამდებობის პირმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა ანალიტიკურსა და მიმოხილვით წერილში ინგლისურ ენაზე სათაურით – „რეტროსპექტივა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციისა“ (9 მაისი, 2012 წელი), ინტერნეტით გაავრცელა ცრუ ინფორმაცია საქართველოს ისტორიის სფეროდან, რომელსაც ძალუძს საგარეო პოლიტიკაში და საშინაო პრობლემების რეგულირების საქმეში საქართველოს მიმე ზარალი მიაყენოს. სახელდობრ, მან ისტორიულ ფაქტად მსოფლიოს შესთავაზა სიცრუე, თითქოს 1921 წლის 17 მარტს საქართველოს უზენაესმა საკანონმდებლო ორგანომ – დამფუძნებელმა კრებამ – თავის უკანასკნელ სხდომაზე ემიგრაციის წინ ბათუმში “შეაჩერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მოქმედება”. ანუ: ბატონმა პაპუაშვილმა მოინდომა ქართველი ერის ზურგს უკან მსოფლიოს მოტყუება, თითქოს საქართველოს იურიდიული და პოლიტიკური თავდაცვის ერთერთი მთავარი იარაღი – კონსტიტუცია, რომელიც კავკასიაშიც და ყოფილ საბჭოთა კოლონიებს შორისაც მხოლოდ ჩვენ გვქონდა და რომელმაც, პოლიტიკურად, რუსეთის მიერ ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ “გუბერნიებად” ან საბჭოთა “ობლასტებად” ქვეყისაგან დაგვიცვა და დღესაც გვიცავს ტერიტორიების წაგლეჯისაგან აღარ არსებობს. ის, რაც ბატონმა პაპუაშვილმა შეთხზა, ხსენებულ დღეს,

ანუ ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პროცესში (თბილისი დაცვა 1921 წლის 25 თებერვალს), პრაქტიკულად და იურიდიულად ედრებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ ძალაუფლებაზე ხელის აღებას და, ამგვარად, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და ანექსიის ლეგალიზაციისთვის იურიდიულად ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამის მიღწევა რაგინდარა სახით დამყვრობელი რუსეთის პირველი მიზანი იყო კავკასიაში, ამიტომ რუსეთის შეიარაღებული ძალები და სპეცსამსახურები 1921 წლის თებერვალ-მარტში და შემდგომშიც გააფთრებით ცდილობდნენ საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისაგან გამოეძალათ სახელმწიფოს კაპიტულაციის აქტი, ანუ ძალაუფლებაზე ხელის აღების რამენაირი, თუნდაც არაპირდაპირი აქტი. მათ ეს ვერ შეძლეს. ქართული სახელმწიფოს იმდროინდელ ხელისუფალთა ამ სიმტკიცემ საქართველო იურიდიულად და მორალურად გადაარჩინა როგორც ტრადიციული მონარქიული სახელმწიფო, იმ დროს უკვე დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც ეს თავისი სახელმწიფოებრივი ფორმა შეინარჩუნა რუსეთის მიერ ანექსიის დღემდე, ხოლო შემდეგ რუსეთმა “ჩაიბარა”, როგორც ფეხზე მდგომი ქვეყანა, და რომელიც ახალი ეპოქის დადგომიდან, ანუ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებიდან, ახალი თავისუფლებისთვის იბრძოდა და იბრძვის. საქართველოს ეს ისტორიული და აწმყო ვითარება ძირფესვიანად განსხვავდებოდა მისი ამიერკავკასიელი მეზობლების – სომხეთისა და აზერბაიჯანის – მდგომარეობისაგან. სომხეთს რუსეთის მიერ ანექსიის დღისთვის 600 წლის დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა, “აზერბაიჯანი” კი როგორც “სახელმწიფო” ისტორიამ არ იცოდა რუსეთის თებერვლის (1917 წლის) რევოლუციამდე. საქართველო ამ დროს არსებობდა, როგორც სავსებით ჩამოყალიბებული, ერთალიგის მიერ დე ფაქტოდ და ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ დე იურედ ცნობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. რუსეთმა მისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო კონიუნქტურის გამო გაბედა საქართველოს დაპყრობა და “გასაბჭოება”, მაგრამ ვერ გაბედა მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გაუქმება. 1921 წლის მაისში ხელშეკრულებაც დადო საქართველოსთან, როგორც სუვერენულ სახელმწიფოსთან. საქართველო დარჩა, როგორც სუვერენული, თუმცა “საბჭოთა” “სოციალისტური” რესპუბლიკა და მას დაურჩა ე.წ. “თვითგამორკვევის” (თვითგანსაზღვრის) უფლება “თვით გამოყოფამდე”. საქართველოს 1921 წლის დაპყრობის

ფაქტს, ანუ ამ ორი ცნების – “დაპყრობისა” და “ანექსიის” – ადეკვატურობას რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1921 წლის თებერვალ-მარტში ჩატარებული ომის მიმართ, ადასტურებს საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის აქტი.

საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ტერიტორიის სრული და უუჭველი ლეგიტიმურობის ეს სტატუსი (ტერიტორიისა, როგორც მინიმუმი, გაეროს მიერ დღეს ცნობილ საზღვრებში) არის ის, რასაც ბატონ პაპუაშვილის ხსენებული ფალსიფიკატორული “ოპერაცია” უტევს.

ფაქტი, რომელიც ბატონმა პაპუაშვილმა შეთხზა – დამფუძნებელი კრების მიერ თავისივე კონსტიტუციის (ანუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის) არც შეჩერების, არც გაუქმების, არც ახლებურად გარედაქტირების, არც, საერთოდ, რაიმე სახით ხელყოფის ან ეჭვის ქვეშ დაყენების ფაქტი – არ არსებობს. ბატონი პაპუაშვილი პირწმინდად ტყუის. დამფუძნებელი კრების არც 1921 წლის 17 მარტის სესიას, არც რომელსამე სხვას კონსტიტუციის “შემჩერებელი” ან სხვაგვარად ხელმოყვანილი არანაირი გადაწყვეტილება არ გამოუქვეყნებია (იხ. იმ დროის ქართული ემიგრაციის პრესა, აგრეთვე შემდგომი წლების პრესა). პაპუაშვილის “ცნობა” “ჭეშმარიტი” იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ავტორს ხელთ ექნებოდა დამფუძნებელი კრების აქტის ტექსტი ან მითითებული მაინც ექნებოდა ამ ტექსტის პუბლიკაცია ოფიციალურ ან სხვა სახის პრესაში (საქართველოს ხელისუფლების ემიგრაციაში წასვლის შემდეგ წლებისა და ათწლეულების მანძილზე ჰქონდა თავისი დოკუმენტების პუბლიკაციის საშუალება, მაგრამ ხსენებული შინაარსის დოკუმენტი იქ ავტორის მიერ მითითებული არ არის). დაუსაბუთებლად, მაგრამ შესაძლებლად ჩაითვლეოდა ავტორის მიერ ხსენებული ეპიზოდი ქართული პოლიტიკისა 1921 წლის 17 მარტს იმ შემთხვევაში, რომ არ არსებობდეს ფაქტობრივად დაუძლევადი საბუთი მის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ასეთი საბუთი არსებობს. იგი იმაში მდგომარეობს, რომ, თუ აღნიშნული ცნობა მართალი იქნებოდა, ანუ კონსტიტუციის შეჩერება ფაქტი იქნებოდა, რუსეთი მაშინათვე აიტაცებდა და შემოვითებული ევროპის წინაშე ფართოდ გააპროპაგანდებდა ამ ფაქტს. ეს არ მომხდარა. (ან როგორ მოხდებოდა, ანუ რატომ ჩაიდენდა დამფუძნებელი კრება თვითმკვლელობასა და სახელმწიფოს მკვლელობას, როდესაც საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში იძულებით მიემგზავრებოდა და იქიდან აპირებდა ბრძოლას დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად). (ნ. ჟორდა-

ნიას მთავრობა თავის ამ ფუნქციას 1935 წლამდე ასრულებდა).

რა თქმა უნდა ვერ გამოვრიცხავთ, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმა 1921 წლის აქეთ შეძლეს სადმე ყალბი ფრაზის პუბლიკაცია, თითქოს 17 მარტის სხდომას დამფუძნებელ კრებას თვითმკვლელობის ხსენებული აქტი მოეხდინოს კონსტიტუციის შეჩერების სახით. მაგრამ ცხადია, რომ ამ თეთრი ძაფით შეკერილსა და ორგანიზებულ ცნობას ოფიციალური პუბლიკაციის გარდა და ექსპერტიზის გარეშე არც იურიდიული ძალა, არც ისტორიული დოკუმენტის ძალა არა აქვს.

ამგვარად, უფლება გვაქვს იმის კონსტანტაცია მოვახდინოთ, რომ ბატონი პაპუაშვილი ცრუობს. შეგნებულად ცრუობს, საქართველოს სახელმწიფოს საზარადოდ, აგრესიულ უცხო სახელმწიფოს უშუალო ან უფრო მაღალი ხელისუფლებით გაშუალებული დავალების შესაბამისად.

თუ სადმე არსებობს თუნდაც რუსეთის მიერ “შეცურებული” ამგვარი ინფორმაცია (ასეთი მცდელობის არარსებობა მისი მხრიდან საკვირველიც იქნებოდა), მაშინ ამ ცნობის გამოყენების უფლებას წინასწარი აკადემიური გამოკვლევა ან სპეციალური გამოძიება დასჭირდებოდა და სჭირდება. თუ ბ. პაპუაშვილი წარმოადგენს შესაბამის მამტკიცებელ მასალებს, თუნდაც ასეთი, ანუ შეუმოწმებელი სახით, ამით გადავადდება მისთვის სახელმწიფო ღალატის მცდელობის ბრალად დადების უფლება მანამდე, სანამ მისი “ცნობა” ექსპერტიზას გაივლიდეს. სხვა შემთხვევაში ეს ბრალდება, ვფიქრობთ, ძალაშია.

ხსენებული ანტიქართული ოპერაციის საერთაშორისო პოლიტიკური მექანიზმი, ვფიქრობთ ნათელია. პუტინის პრესტიჟი რუსეთში და რუსე-

თისა – მსოფლიოში მოითხოვს იმას, რომ საქართველოს გამოსძალოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის “დამოუკიდებლობის” აღიარება შენიღბული ფორმით – სახელშეკრულებო სახელმწიფოს (კონფედერაციის) ფორმით, რომელიც ავტომატურად იშლება მაშინათვე, როგორც კი ერთი რომელიმე მონაწილე იტყვის “ერთად ყოფნა აღარ მინდაო”. ამისთვის ავალებენ სააკაშვილს თქვას “აფხაზეთი რეალურად საქართველო არ იყო” (და ამბობს კიდევ). პაპუაშვილის წილი და “ფსონი” ამ “ოპერაციაში” არის მსოფლიოს მოტყუება თითქოს აღარ არსებობს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, სადაც დაფიქსირებულია აფხაზეთის ყოფნა საქართველოში და არანაირი “ოსეთის” არარსებობა კავკასიონის სამხრეთით.

ბ-ნ გ. პაპუაშვილის ხსენებული სიცრუის პუბლიკაცია ვერ გაიგება და ვერ აიხსნება სხვაგვარად, თუ არა რუსეთის ორი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით.

1. იმ ინტერესის, რომ “გაბათილდეს” საქართველოს შემადგენლობაში რუსეთის მიერ 1921 წლის დაპყრობამდე აფხაზეთის ყოფნისა და კავკასიონის სამხრეთით არანაირი “ოსეთის”, შემდგომში რუსეთის მიერ შეთხზულის, ამ დროს არარსებობის ფაქტი.

2. დაიმალოს ფაქტი, რომ 1921 წლის დაპყრობის შემდეგ საქართველოს ტერიტორიების გადაცემა მეზობელი “რესპუბლიკებისათვის” მოხდა კანონიერი მოქმედი კონსტიტუციის წინააღმდეგ.

გ. პაპუაშვილის ხსენებული ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება სხვაგვარად, თუ არა როგორც მცდელობა სახელმწიფო ღალატისა, რომელსაც, სავარაუდოა, საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის ნება მართავს.

SELLING A LAND MEANS SELLING FUTURE OF GEORGIA

NODAR NATADZE, PAATA KOGUASHVILI

Profesors

The problem of resources decrease in the contemporary world is worsening. This first of all applies to the soil and especially to agricultural lands, as the man's impact decreases and this takes place against the background of the rapid growth of the earth population. Therefore, most states refer more carefully to the property problem on agricultural lands. In some cases this filed is emphasized with the strictest regulation. The present work applies to the mentioned problem. The Authors aim to analyze situation created in this filed in Georgia and indicate those dangers that may cause full liberalization of land market in different directions. At the same time they mention that one of the arguments of the supporters for full freedom of land selling to the foreigners – investments attraction – lacks logics and the Authors on the basis of proper calculations and digital data justify that agricultural lands are not subject to investments and the foreigners interest in them won't increase either investments or agricultural products development. Quite the contrary, often land purchase by speculative capital is good means for financial resources investment and it is not interested in farming produce that decreases the efficiency of agricultural land use.